



კოალიციური პროექტის „მეტი ჩართულობა მეტი შედეგის“- ფარგლებში  
პედაგოგთა კავშირი“განათლება და სამყარო“ (ხელმძღვანელი ნანული რამიშვილი)  
განხორციელებული აქტივობების შესახებ.

ინფორმაცია, მოსაზრებები და წინადადებები თუ როგორ რეაგირებენ აფხაზურ  
საზოგადოებაში ქართული მხარის სამშვიდობო ინიციატივებზე:

1. აფხაზეთის დამოუკიდებლობის შემდგომ (2008 წლიდან დღემდე) საქართველოს მთავრობა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების მეშვეობით აფხაზურ მხარეს გადასცემენ სამშვიდობო ინიციატივებს “რომ საქართველოს მხარე ომისთვის არ ემზადება“.  
რეაქცია აფხაზური მხრიდან: აფხაზურ მხარეს მიაჩნია, რომ საქართველოს მიერ გამოცხადებული სამშვიდობო ინიციატივები აფხაზეთის დამოუკიდებლობის ალტერნატივა ვერ იქნება და ვერც გახდება.  
ისინი ფიქრობენ, რომ ურთიერთობის (კეთილმეზობლურ ი) ნორმალიზაციის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა ძალის გამოყენებლობის შესახებ შეთანხმების გაფორმება, რაც რეგიონში სტაბილიზაციასა და უსაფრთხოებას განამტკიცებდა.
2. აფხაზების დამოკიდებულება საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ ინიცირებული სამშვიდობო გეგმისადმი რამდენიმე განზომილებისაგან შედგება:
  - საშინაო სოციალურ-პოლიტიკური დისკურსი და ამით განსაზღვრული დამოკიდებულება საქართველოსადმი და რუსეთისადმი;
  - აგრეთვე, სამშვიდობო გეგმაში დანახული პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული/იდენტობის საფრთხეები.
  - აფხაზების მხრიდან სამშვიდობო გეგმის კრიტიკა ცნება ოკუპირებულ ტერიტორიებს ეფუძნება, რომელიც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან არის დაკავშირებული.
  - აფხაზები ვერ ხედავენ კავშირს “აფხაზეთის, როგორც საერთაშორისოდ აღიარებულ სახელმწიფოს, და საქართველოსთან ერთად კონფლიქტის მოგვარებას .
  - აფხაზები ყოველთვის ყოველ შეხვედრაზე (ფორმალურ თუ არაფორმალურ) აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე ამახვილებენ ყურადღებას. აფხაზი ექსპერტები აცხადებენ, რომ “ნაწილობრივი აღიარება მხოლოდ დროებითი ფენომენია და ეს შუალედური ნაბიჯია ფართო იურიდიული აღიარებისაკენ მიმავალ გზაზე“. მიუღებელია ასევე ცნება „ოკუპირებული ტერიტორიები“.

ხინტბა აცხადებს, რომ ის ვერ ხედავს აფხაზეთს თბილისის სამშვიდობო გეგმაში, რომელიც “იზოლაციის მოხსნის ცნებას დე-ოკუპაციით ანაცვლებს და აფხაზეთს საქართველოს ხელისუფლებასთან აფხაზეთის მმართველი წრეების გვერდის ავლით კონტაქტების დამყარებისაკენ უბიძგებს”. ამკარაა, რომ აფხაზეთს არ მოსწონთ მათი ოკუპირებულად წამორჩენა.

- ლ. კვარჩელიას აზრით(აფხაზეთი) , საქართველოს ხელისუფლებამ სტრატეგიის დეპოლიტიზირებაზე უნდა იზრუნოს და სამშვიდობო გეგმის ძირითად მიზნად “ნდობის აღდგენისკენ თანამშრომლობა უნდა გამოაცხადოს”.

- აფხაზები არ ეთანხმებიან სამშვიდობო გეგმის ფარგლებში დასავლეთთან კავშირის პოზიტიურ ასპექტებზე დათანხმებას მათი დამოუკიდებლობის დათმობაზე წასვლად
- ათთვის ასევე მიუღებელია დასავლეთთან კავშირის დამყარება, თუ ეს პირდაპირი ან არაპირდაპირ საქართველოს მეშვეობით მოხდება და მიიჩნევენ, რომ ადრე თუ გვიან დასავლეთი მათი აღიარების გზას დაადგება.

მოგეხსენებატ, რომ აგვისტოს ომის შემდგომი პერიოდის სამშვიდობო გეგმის პოლიტიკური ნაწილის ,რომელიც ერთის მხრივ არაღიარებაზე, ხოლო, მეორე მხრივ, ჩართულობაზეა კონცენტრირებული- მწელი მისაღწევი იქნება რუსეთის ფაქტორის გათვალისწინებით.

- თუმცა, მიუხედავად პოლიტიკური წინააღმდეგობებისა აფხაზები გარკვეულწილად ხედავენ სამშვიდობო ინიციატივის საერთო ასპექტებს სამომავლო ეკონომიკური თანამშრომლობის მხრივ, თუმცა დასძენენ, რომ ნებისმიერი სახის ეკონომიკური ურთიერთობა ორ თანასწორ მხარეს შორის შეთანხმებას უნდა წარმოადგენდეს და არა ძველი სტრუქტურული თანამშრომლობით-სოხუმის თბილისისადმი დაქვემდებარებას.

რა შიშებს , და საფრთხეებსა ხედავს აფხაზური მხარე :

- აფხაზური მხარესთვის მტავარ შიშს წარმოადგენს ნდობის საკითხი-ჯერ კიდევ მყარია მათში მტრის სახე ქართველებისადმი,მაშინ, როდესაც ქართველებს აფხაზების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება არ აქვთ.
- ისიც აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა თაობა აფხაზეთში იზრდება არა მომავლის პარადიგმით, არამედ მსხვერპლად ყოფნისა და მოგებული ომის იდეით.
- უნდობლობის შეგრძნება აქვთ, ასევე შთანხმებების და დღის წესრიგების დარღვევაა,მათი დამოუკიდებლობის ეჭვს ქვეშ დაყენებაა,ასიმილაცია რუსებთან და ას.შ
- ოსებს ცოტა განსხვავებული აღქმა აქვთ შიშისადმი--რომ საბოლოო მიზანი ქართველების არის სამხრ. ოსეთის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებაა.

აფხაზური საზოგადოებისთვის განსაკუთრებით მწვავე პრობლემებია: აფხაზეთის იზოლაცია გარესამყაროსგან , უსაფრთხოების არ არსებობის განცდა, რეგიონში ინვესტიციების სიმცირე/შეზღუდულობა , კორუფცია და არაეფექტური მმართველობა, არასტაბილურობის განცდა, რეგიონიდან ახალგაზრდების გადინება , სოციალური პროგრამების სიმცირე,განათლებლასა და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა, უმუშევრობის მაღალი დონე.

კიდევ უფრო რთული ვითარებაა სამხრეთ ოსეთში. რეგიონი სრულად დამოკიდებულია რუსეთზე, შეზღუდულია არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა და საერთაშორისო ორგანიზაციები, „წითელი ჯვრის“ გარდა, ფაქტობრივად არ დაიშვებიან.რეგულარულად იკეტება გადასასვლელები, მათ შორის 2019 წლის სექტემბერში დაიხურა სინაგურისა და ოძისის გამშვები პუნქტები, რომლებიც ცხინვალის რეგიონს დანარჩენ საქართველოსთან აკავშირებს.რთული ვითარებაა თავად ცხინვალში. დროდადრო, რეგიონში საქონლისა და პროდუქტების დეფიციტი იქმნება, რაც რუსეთის საბაჟოს მხრიდან საქონლის რეგისტრაციის პროცედურების გართულებით არის გამოწვეული.

რა არის საჭირო ქართული მხრიდან რომ სტრუქტურული ცვლილებები მოხდეს?

სტრუქტურული ცვლილებების მისაღწევად მნიშვნელოვანია, რომ გადაიხედოს არსებული სტრატეგია და პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება კონფლიქტების მოგვარების, ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის პროგრამები, რაც შემდეგი ნაბიჯების გადადგმით შეიძლება დაიწყოს:

- შიდა პოლიტიკური დიალოგის ორგანიზება სამთავრობო და ოპოზიციურ პარტიებს/პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებს შორის კონფლიქტის ტრანსფორმაციის მიზნებსა და დღის წესრიგის ჩამოყალიბებით.
- კონფლიქტების დარეგულირებასთან დაკავშირებული სახელმწიფო ინსტიტუტების მანდატის, რესურსისა და კოორდინაციის საკითხის ანალიზი და შეფასება.
- პარტიულ პროგრამებში კონფლიქტების ტრანსფორმაციის შესახებ ხედვისა და მიდგომების ინტეგრირება.
- საზოგადოების შიგნით ინტერესჯგუფების/გავლენის მქონე დამიანების იდენტიფიცირება, ვინც კონფლიქტის ტრანსფორმაციის მიზნებსა და დღის წესრიგს იზიარებს.
- არასამთავრობო და საექსპერტო საზოგადოების კონსოლიდაცია კონფლიქტის ტრანსფორმაციის ხედვის/პრინციპებისა და დღის წესრიგის განსასაზღვრად.
- რუსეთში მიმდინარე პროცესების კვლევა/ანალიზი და გათვალისწინება. აფხაზურ და ოსურ საზოგადოებაში შედარებით შეზღუდული შესაძლებლობა ტრანსფორმაციაზე სამუშაოდ. ეს საკითხი განსაკუთრებით გართულებულია ოსურ საზოგადოებაში, სადაც როგორც ადგილობრივი არასამთავრობო, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობა უკიდურესად შეზღუდულია. შესაბამისად, რთულია გამოიკვეთოს ის ინდივიდები/ჯგუფები, ვინც კონფლიქტის ტრანსფორმაციაზე მუშაობას შეძლებს.
- საქართველოს მთავრობის 2018 წლის ინიციატივა - „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ, რომელიც კონფლიქტის ტრანსფორმაციის პოლიტიკის მექანიზმია, ასევე უნდა ეფუძნებოდეს ურთიერთსაზიარო და ხანგრძლივადიან ხედვას მხარეებს შორის ურთიერთობების ტრანსფორმაციის შესახებ, რაც გაამარტივებს და უფრო ეფექტურს გახდის მის განხორციელებას.
  - ახალგაზრდების რესურსების გამოყენება კონფლიქტის მედიაციასა და მხარეებს შორის ურთიერთობების რეკონსტრუქციაში. მეტი ინფორმირებულობა ქართულ-აფხაზურ-ოსურ კონფლიქტზე განსაკუთრებით სასკოლოებაზიდან და უმაღლეს სასწავლებლებში. საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების საფეხურზე გამოყენებულ ისტორიის სახელმძღვანელოებში შეტანილი მასალები კონფლიქტების შესახებ ცალმხრივი აზრის მატარებელი არ უნდა იყოს, მოსწავლე ახალგაზრდობა უნდა აღიქვამდეს მეორე მხარის აღქმებს და პერსპექტივებს, რათა ისინი ცვლადულ ჩარჩოში არ მოექცნენ. ამისთვის საჭიროა თავად პედაგოგების კვალიფიკაცია, რაც სამწუხაროდ ყველა ისინი მხოლოდ მონატხრობებს ეყრდნობიან.
  - სახალხო დიპლომატია ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივ აზრზე, ხელს უწყობს რა ინფორმაციის გაცვლას დაპირისპირებულ მხარეებს შორის და სახალხო დიპლომატიური პროცესების მონაწილეთა მიერ მიღებული

ინფორმაციის გაზიარებას თავიანთი საზოგადოებებისადმი, რაც საბოლოო ჯამში, ამხსნევს სტერეოტიპებს და ამცირებს სიძულვილს. სახალხო დიპლომატიის წარმატებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ურთიერთბრალდებები შეიცვალოს საკუთარი ბრალეულობის აღიარებითა და მონანიებით.

თუ დღევანდელი სოციალპოლიტიკური მდგომარეობით და მიმდინრე პროცესებით ვიმსჯელებთ დღეს დღეობით შემაფერხებელი ფაქტორები არსებობს, რომლის გასწორებაა საჭირო:

1. პოლიტიკური პოლარიზაცია, პოლარიზაციის ხარისხის ინდექსი მაღალია, და ეს საკითხიც კონფლიქტების თემა - უკან პლანზე იწევს.
2. პოლიტიკური პარტიების პროგრამებში ნაკლებადაა კონფლიქტის დარეგულირებისა და ტრანსფორმაციაზე ჩამოყალიბებული ხედვა-პროგრამა.
3. ტრანსფორმაციის მიმართულებით მომუშავე რესურსების სიმწირე, მცირეა იმ ადამიანების რაოდენობა, ვისაც ტრანსფორმაციის მიმართულებით კონკრეტული ხედვა აქვთ და მუშაობა შეუძლიათ ამ პროცესში ჩართვა და მუშაობა.
4. ამავე დროს არ არის სათანადო ფინანსური მხარდაჭერა, როგორც სახელმწიფოსგან, ასევე საერთაშორისო საზოგადოებიდან. ასევე კერძო სექტორიდან თანხების მოზიდვაც აუცილებელია..
5. ასევე რუსული ფაქტორიცა გასათვალისწინებელი.

რეალურად, საქართველოში არ არსებობს კონფლიქტისა და ურთიერთობის ტრანსფორმაციისა და მისი განხორციელების გაწერილი ხედვა და სტრატეგია. (ნათია ჭანკვეტაძის-2020 წლის კვლევების მასალები.)

- ძირითადად ნდობის აღდგენისა და მშვიდობის მშენებლობის პროექტებში დიდწილად ჩართულია სამოქალაქო საზოგადოების ლიდერები. შედეგად, შიდა ვერტიკალი მთავობა/პოლიტიკური ლიდერები და სამოქალაქო საზოგადოება ქვედა დონის ლიდერები/მოსახლეობა - არ მუშაობს აქტიურად და კოორდინირებულად.

საქართველოს სამოქალაქო სექტორისათვის ცნობილია, რომ სამშვიდობო ინიციატივას "ნაბიჯი უკეთესი მომავლისაკენ" მოიცავს ძირითადად საქართველოს მთავრობის მიერ გადასადგმელ ნაბიჯებს, იძლევა შესაბამის დაინტერესებულ აქტორებს შორის ჩართულობის, დიალოგისა და თანამშრომლობის შესაძლებლობას, და ემსახურება ჰუმანიტარულ ამოცანებს და ორ ძირითად მიმართულებას აერთიანებს. ესენია:

- „ვაჭრობის წახალისება გამყოფი ხაზების გასწვრივ“ ;
- „აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისათვის განათლების შესაძლებლობების განვითარება“.

გამყოფი ხაზების გასწვრივ ვაჭრობის ახალი შესაძლებლობები ვაჭრობა და მიმოსვლა გამყოფი ხაზების გასწვრივ დღესაც მიმდინარეობს, თუმცა ფიზიკური დაბრკოლებების, თავისუფალი გადაადგილების, სატრანსპორტო კომუნიკაციის შეზღუდვის, ტვირთების მოცულობაზე დადგენილი ლიმიტების თუ სხვადასხვა გადასახადის ფონზე, არსებულ ვაჭრობას შეზღუდული ხასიათი აქვს. ეს ვითარება განსაკუთრებით მძიმედ აისახება გამყოფი ხაზების მომიჯნავე რაიონების მოსახლეობაზე.

გამოიყენება თუა არა ახალი სავაჭრო-ეკონომიკური შესაძლებლობები სრულფასოვნად

და რა სარგებელს იღებს მოსახლეობა? რა აფერხებს? ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება, ტვირთის გადაზიდვა, გადასასვლელი პუნქტების ფუნქციონირება, თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფა, შემაფერხებელი რეგულაციების და გადასახადების თავიდან არიდება და ა.შ (დღეს კი კოვიდის პირობებში უფრო რთული გახდა).

- აგრარული ბაზარის განთავსება გამყოფი ხაზების გასწვრივ.ავტომობილების ბაზრობა,პავილიონების გახსნა. (კარგი ინიციატივაა,კოვიდის შემდგომ აუცილებელია მისი ამოქმედება).
- აღნიშნული ინიციატივა ღია დიალოგის და თანამშრომლობისათვის, ქმნის სივრცეს ყველა დაინტერესებული აქტორის კონსტრუქციული მონაწილეობისთვის. ამასთან, იძლევა შესაძლებლობას გამყოფი ხაზების ორივე მხარეს მცხოვრები საზოგადოებების წარმომადგენლებისთვის ჩაერთონ საზოგადოებრივ დიალოგში, როგორც სავაჭრო-ეკონომიკური საკითხების, ისე სამედიცინო,განათლება,ეკოლოგია,ტურიზმი განსაზღვრონ საერთო ინტერესები და გამოწვევები, ასევე, მათი გადაწყვეტის გზები. -შესაძლებელია განხილული იქნას დიალოგის სხვადასხვა ფორმები და პლატფორმები.(პროფესიული ჯგუფების ჩართულობით).
- სამედიცინო პროექტები-სარგებლიანი და მნიშვნელოვანი აღმოჩნდა და განსაკუთრებით კოვიდის დროს .
- რუხის კლინიკა-კოვიდის ცხელ ცენტრად რომ არის გამოცხადებული-- დიდ სამედიცინო დახმარებას უწევს აფხაზეთის და ადგილობრივ მოსახლეობას. ასევე სასურველია ამ გამყოფ ხაზზე ან თავად რუხის კლინიკის ერთ ფრთაზე გაიხსნას პოსტკოვიდური სარეაბილიტაციო ცენტრი,რატა კოვიდ გადატანილმა პაციენტებმა სრული სამედიცინო რეაბილიტაცია გაიარონ.

### 3. განათლება

საქართველოს მთავრობა ძალისხმევას არ იშურებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისათვის საქართველოში განათლების მიღების შესაძლებლობის წახალისების, საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელებისათვის შესაბამისი მექანიზმებისა და პროცედურების შექმნისა და ერთობლივი კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერისათვის. ამ მიზნით:

1. საქართველოს მთავრობა ახორციელებს სპეციალურ 1+4 პროგრამას, რომელიც საშუალებას აძლევს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირებს, ჩაირიცხონ და ისწავლონ ქვეყანაში მოქმედ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში გამარტივებული პროცედურების საფუძველზე.
2. საერთაშორისო გამოხმაურებები“ შერიგების და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ოფიციალურ ვებ გვერდზე განთავსებული - „სამშვიდობო ინიციატივის "ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ"-ის თანახმად ინიციატივა მოწონებულია ჩვენი დასავლელი პარტნიორებისა და საერთაშორისო საზოგადოების მიერ.

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რადიკალურად განსხვავებული სურათის მიღება შეიძლება აფხაზეთ და ოსურ ინტერნეტ პლატფორმებზე (რუსულენოვანი) კვლევის პროცესში გაანალიზებულ იქნა: პლატფორმებზე სამშვიდობო ინიციატივების შესახებ 2018 წელს ჯამურად გამოქვეყნებული სტატიებისა და პოსტების რაოდენობამ 2347

შეადგინა. მოძიებული მასალების კონტენტ ანალიზის შედეგად კი გამოიკვეთა აშკარა ტენდენცია, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანების უმრავლესობა 89.9% არ აპირებს გამოიყენოს ქართული მხარის მიერ შეთავაზებული სერვისები. 7% მდე (6.56%) თანახმაა გამოიყენოს სამედიცინო სერვისი მხოლოდ იმ ვითარებაში, როცა რუსული ჯანდაცვის სისტემა ვერ უზრუნველყოფს პაციენტთა ჯანმრთელობაზე ზრუნვას,

ხოლო დარჩენილი 3.44% თანახმაა მიიღოს საქართველოს ხელისუფლების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისათვის განკუთვნილი სერვისები და ინიციატივები. (მკვლევარი დ. მოძიაშვილის საინფორმაციო კვლევების ანალიზი) მოცემული შედეგების დამუშავების შემდეგ შესამჩნევი ტენდენციას წარმოადგენდა, რომ საიტებსა და ფორუმებზე სამშვიდობო ინიციატივის შესახებ განთავსებული დიდი ნაწილი შეუსაბამო იყო მთავრობის მიერ შემუშავებულ სამშვიდობო პოლიტიკისთან. ფორუმებსა და სოციალური ქსელის მიხედვით არსებულ კომენტარებში ცალსახა იყო ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირების ნეგატიური და სკეპტიკური დამოკიდებულება საქართველოს ხელისუფლების ყველა შეთავაზების მიმართ. აღნიშნული მონაცემების შედეგების კომენტირებისას (სიღრმისეული ინტერვიუს ჩაწერის გზით მიღებული ინფორმაცია) საინფორმაციო ომების მკვლევარმა დავით ძიძიშვილმა განაცხადა, რომ შედეგი თავისთავად მეტყველებს, თუ სად არის მთავარი ჩავარდნა. სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლება ვერ ახერხებს ინფორმაციისადმი წვდომის უზრუნველყოფას და რუსული მხარე კარგად იყენებს ე.წ. განზოგადებული/ აგრესიული ინფორმაციული ზემოქმედების ტაქტიკას, რაც კიდევ უფრო მეტად აშორებს ქართულ საზოგადოებრივ სივრცეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობას”.

მისი მოსაზრებით (დავით ძიძიშვილი), ნარატიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ „მოსახლეობის უმეტესობას აქვს ინფორმაცია, მაგრამ არ სურს მონაწილეობა მიიღოს პროგრამაში და სწორედ ამ ვითარებას ხელს უწყობს ნეგატიური პროპაგანდა რუსეთის მხრიდან და ხელს უშლის ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოსახლეობასთან ურთიერთობების გამყარებას მსგავსი პროგრამების დანერგვის ეფექტურობის თვალსაზრისით.“ ასევე, დავით ძიძიშვილი აღნიშნავს, რომ „ჯანდაცვის პროგრამა კარგია, მაგრამ იგი გაჯერებულია აგრესიული საინფორმაციო კამპანიით რუსეთის ფედერაციისა და სეპარატისტული ხელისუფლების მხრიდან. ამისათვის ხშირია ისეთი მეთოდების გამოყენება, როგორცაა შავი პიარი“.

## რეკომენდაციები

მიუხედავად იმისა, რამდენად თანხმდება ქართული, აფხაზური და ოსური საზოგადოება კონფლიქტის წარმოშობის მიზეზებზე, ფაქტია, რომ კონფლიქტმა სამივე საზოგადოება დააზარალა, ხალხი ერთმანეთს დააშორა და ღირებულებათა განსხვავებულ სისტემებში მოაქცია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სამივე საზოგადოებაში გაჩნდეს ერთმანეთთან საუბრის ინტერესი და საჭიროება, მოხერხდეს სტატუსთან დაკავშირებული და პოლიტიკურად მგრძნობიარე საკითხების დროებით გვერდზე გადადება და ადამიანის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის პრიორიტეტად ქცევა და პრიორიტეტულად განვსაზღვროთ ეკონომიკურ, ჯანდაცვისა და განათლების სფეროების მიმართულებით კონსტრუქციული თანამშრომლობა.

რეკომენდაციები საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს ;

1. საქართველოს მთავრობამ უნდა დაიწყოს შიდა პოლიტიკური დიალოგი ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებთან კონფლიქტის საკიტებზე.
2. საქართველოს მთავრობამ უნდა იზრუნოს რუსეთთან დიალოგის (აბაშიძე•კარასინის) ან სხვა ფორმატში კონფლიქტების ტრანსფორმაციის ხელშეწყობისთვის .
3. საქართველოს მთავრობამ უნდა იზრუნოს აფხაზებსა და ოსებთან პირდაპირი დიალოგის ფორმატების შექმნაზე;
4. საქართველოს მთავრობამ ,განსაკუთრებით განათლების სამინისტრომ- უნდა შეუწყოს ახალგაზრდებში ტოლერანტული და შერიგებაზე ორიენტირებული ცნობიერების ფორმირებას, მათ შორის ზოგად და უმაღლეს განათლებაში კონფლიქტ•სენსტიური სწავლების დანერგვით;
5. საქართველოს მთავრობამ უნდა იზრუნოს საზოგადოებრივი მაუწყებლისა და სოციალური ქსელების გამოყენებით კონფლიქტების ტრანსფორმაციასა და შერიგებაზე ორიენტირებული გზავნილების გავრცელებაზე;
6. საქართველოს მთავრობამ უნდა გაააქტიუროს თანამშრომლობა არასამთავრობო სექტორთან კონფლიქტის ტრანსფორმაციის სტრატეგიის შემუშავების მიზნით;
7. საქართველოს პარლამენტის დროებითმა კომისიამ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის მიმართულებით უნდა გადახედოს სამუშაო პრიორიტეტებს და შეითავსოს კონფლიქტის ტრანსფორმაციის მიმართულებით განსახორციელებელი საქმიანობის გარკვეული ასპექტები;

რეკომენდაციები საქართველოში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებს:

1. არასამთავრობო/საექსპერტო საზოგადოებამ უნდა ჩამოაყალიბოს კონსოლიდირებული ხედვა ქართულ•აფხაზურ და ქართულ•ოსურ კონტექსტში კონფლიქტის ტრანსფორმაციასთან მიმართებით;
2. არასამთავრობო/საექსპერტო საზოგადოებამ უნდა შექმნას [დროებითი] ქსელი/კოალიცია კონფლიქტის ტრანსფორმაციის ხედვის/პრინციპებისა და სტრატეგიის განსასაზღვრად.
3. არასამთავრობო/საექსპერტო საზოგადოებამ მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს მედია საშუალებებთან, კოორდინირებულად გამოეხმაუროს აფხაზებსა და სამხრეთ ოსეთში მიმდინარე მოვლენებს, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების სათანადოდ ინფორმირებასა და აგრესიული რიტორიკის შესუსტებას;
4. არასამთავრობო/საექსპერტო საზოგადოებამ, რომელიც ნდობის აღდგენისა და მშვიდობის მშენებლობის პროგრამებშია ჩართული, მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს დევნილთა პრობლემატიკაზე მომუშავე ორგანიზაციებთან, კონფლიქტის ტრანსფორმაციის ხელშეწყობის მიზნით დევნილი მოსახლეობის რესურსის უკეთ გამოსაყენებლად;



რეკომენდაციები ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონფლიქტზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციებს:

1. კონფლიქტების დარეგულირებისა და ნდობის აღდგენის მიმართულებით მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციებმა მჭიდროდ უნდა ითანამშროლონ როგორც საქართველოს მთავრობასთან ასევე ადგილობრივ ა/ო-ბთან , უფრო მეტი ფინანსური და ადამიანური რესურსის მიწოდებით დაეხმარონ კონფლიქტის ტრანსფორმაციის სტრატეგიის ფორმირებასა და აფხაზურ და ოსურ მხარესთან ლობირებაში;
2. ევროკავშირი უფრო ინტენსიურად უნდა ჩაერთოს კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესში, მათ შორის ხელი შეუწყოს ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და ოსებს შორის დიალოგის/კომუნიკაციის არხების დივერსიფიცირებას და უფრო აქტიური კომუნიკაცია იქონიოს რუსეთთან შესაძლო შეფერხება/ჩარევის გასაწესებლად.
3. შესაბამისმა უწყებებმა მნიშვნელოვანია შექმნას მიმზიდველი გარემო ეკონომიკური საქმიანობისათვის /სავაჭრო ზოლი/, თავისუფალი ეკონომიკური ზონა... /ე.წ მაგნიტი/
4. სარკინიგზო მაგისტრალის გახსნა მინიმუმ ქუთაისამდე კარგი მექანიზმი იქნება ტურისტულმა ბიზნესმა ქვეყნის ეკონომიკის ხერხემლის როლი შეასრულოს.
5. მთავრობების შეთანხმება ფრენებთან დაკავშირებითა. /სოხუმი -ქუთაისი/
6. ქვეყნის ტურისტული მიმზიდველობისათვის კომპლექსური და მწყობრი სტრატეგიის შემუშავება, რომლის განხორციელების ფერხულში ჩაბმული იქნება მთლიანად ორივე მხარის მინისტრთა კაბინეტები. და ტურისტული კომპანიები.
7. შეიქმნას ბრენდი-ტური აფხაზური კულტურა ქართული კულტურის წიაღში /რომელიც მოიცავს ამ ორი ერის საუკეთესო ტრადიციების წარმოჩინებას როგორც სანახაობრივი/მუზეუმი, გაცოცხლებული აფხაზური და ქართული კერა/, ორივე მხარის ნაციონალური/ ასევე სარესტორნო იდილია საუკეთესო ქართული და აფხაზური ეროვნული კერძების დაგემოვნებით, ღვინის გზა usasruloa... რომელიც აშკარად აფხაზეთში ოდითგან მდებარეობდა.

ანგარიში მომზადებულია პროექტი „მეტი ჩართულობა მეტი შედეგი“-ს (განმახორციელებელი ორგანიზაცია მდსკ-ის დირექტორი ალუ გამახარია) ფარგლებში კოალიციის წევრი ორგანიზაციის ჰკგს-ს ხელმძღვანელის ნანული რამიშვილის მიერ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „კონფლიქტის ტრანსფორმაცია ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონტექსტში: იდეიდან ქმედებამდე“ - ნათია ჭანკვეტაძის 2020 წლის კვლევები.
2. საინფორმაციო ომების მკვლევარი, ბლოგერი დავით ძიძიშვილის მიერ მოძიებული საინფორმაციო მასალების ანალიზი. 2018 წ.
3. პედაგოგთა კავშირი „განათლება და სამყაროს ‘-კვლევის მასალები“ სამშვიდობო განათლება თანამედროვე საგნმანათლებლო დაწესებულებების პირობებში“. 2016-2017 წ.